ია გელაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: iagel2805@gmail.com

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ზოგიერთი საკითხისათვის

შესავალი. XXI საუკუნის საშიში მოვლენა, რომრლიც მთელი მსოფლოს მოედო და რამაც გამოიწვის ცხოვრების ერთგვარი დაპაუზება, არის COVID-19, იგი უკვე მოიაზრება გლობალურ პრობლემათა სიის თავში, რამაც გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რა თქმა უნდა განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლებით განსხვავებულ ქვეყნებში, სოციალურ ფენებში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი,ფსიქოლოგიური აშლილობა და ა.შ.

BBC წერს, რომ კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შედეგი გლობალურად სიღარიბეში მყოფი ადამიანების რაოდენობას ნახევარი მილიარდით გაზრდის. გაეროს კვლევის ანგარიშის მიხედვით-პანდემიის დასრულების დროს დედამიწის 7-8 მილიარდიანი მოსახლეობის ნახევარი შესაძლოა სიღარიბეში ცხოვრობდეს. გაღარიბების 40% აღმ.აზიასა და წყნარი ოკიანის რეგიონებში დაფიქსირდება, მესამედი კი აფრიკასა და სამხრეთ აზიაში. ყველაფერ ამან კი ეჭქვეშ შეიძლება დააყენოს გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამა ,რომლის მიზანიც 2030 წლისათვის მსოფლიოში სიღარიბის დასრულებაა .

ძირითადი ტექსტი. პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა ყველა სფეროსა და მიმართულებას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს და ძირფესვიანად შეცვალა მისი ყოველდღიური საქმიანობა. არადა ეს არის სექტორი, რომელსაც ყველაზე დიდი შემოსავლები მოაქვს და ახდენს მოსახლობის მნიშვნელოვან დასაქმებას. იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო ამ ვირუსის გავრცელება,რომ საწარმოთა უმეტესობა დაიბნა და ჩიხშიც კი მოექცა. მათ სწორად ვერ გათვალეს და

არც იყვნენ მზად სამომავლო საქმიანობის განხორციელებისთვის. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანაში აკრძალეს ყველანაირი საქმიანობა და ადამიანები სახლში გამოკეტეს, ბიზნეს სექტორმა ჩამოშლა დაიწყო და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ძალიან ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო და ულუკმაპუროდ დარჩა.

მონაცემთა პლატფორმის https://www. statista.com-ის თანახმად, ორი სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა პანდემიის გამო, არის ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორი და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორი. ჩინეთი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში მსოფლიოს უმსხვილესი მიმწოდებელია და გაეროს 2018 წლის მონაცემებით მასზე მოდის მსოფლიო გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის 28%. გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორმა 2018 წელს თითქმის 4 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა.(https://www.statista.com) მსოფლიო სამრეწველო პროდუქიის #2 მიმწოდებელი აშშ-ა. 2018 წლის მონაცემებით მასზე მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში წარმოებული პროდუქციის 16,6%. კორონა ვირუსის გავრცელებამ ჩინეთის გადამამუშავებელი მრეწველობის ქვესექტორებიდან ყველაზე მეტად დააზარალა ავტომობილების წარმოება.(შემცირდა 31,8%-ით), ზოგადი დანადგარების წარმოება(შემცირდა 28,2%-ით), სარკინიგზო, გემთმშენებელი და აერო სივრცითი წარმოება(შემცირდა 28,8%-ით), ტექსტილის წარმოება (შემცირდა 27,2%-ით), პლასმასის წარმოება(შემცირდა 25,2%-ით), ელექტროდანადგარების წარმოება (შემცირდა 24,7%-ით) (https://www.statista.com). 2020 წლის საპროგნოზო მონაცემებით ჩინეთიდან ავტომობილებისა და ავტონაწილების იმპორტის შემცირების გამო ევროკავშირის საავტომობილო ინდუსტრია დაკარგავდა 2,5 მილიარდ აშშ დოლარს, იაპონია დაახლოებით მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო აშშ-0,8 მილიარდ დოლარს.

გარდა აღნიშნული სექტორებისა, ვირუსის გავლენა თვალშისაცემია ისეთ სექტორებზეც, როგორიცაა: საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა და გართობა და დასვენება.(https://www.statista.com) ვირუსის ფონზე როცა ადამიანები ცდილობენ

თავი აარიდონ მოგზაურობას, ვაჭრობას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მოთხოვნის კლებას, ხოლო კომპანიის გადაწყვეტილებები-შეაჩერონ საწარმოო პროცესი, აფერხებს მიწოდებას (forbes.ge/blog 1462/koronavirusis-ekonomikuri-sedegebi.). მოთხოვნა-მიწოდების შეზღუდვა თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ეკონომიკური ზრდისათვის. ბრიტანული საკონსულტაციო კომპანიის-OXFORD ECONOMICS-ის კვლევის თანახმად ჩინეთის ეკონომიკური ზრდა 2020 წლის ბოლოსათვის 5%-ის ფარგლებში შემცირდებოდა (forbes.ge/blog1462/koronavirusis-ekonomikuri-sedegebi.).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ 2009 წლის H1N1 პანდემიის შედეგს მსოფლიო შიდა პროდუქტის 0,5% კლება წარმოადგენდა, კორონა ვირუსის გავრცელებას მსოფლიო ეკონომიკის 5% შემცირება შეიძლება მოჰყვეს (forbes.ge/blog 1462/koronavirusis-ekonomikuri-sedegebi.). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის(OECD) მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური პროგნოზით 2020 წელს ჩინეთის ეკონომიკური ზრდა შემცირდებოდა 4,9%-მდე, ევროზონის- 0,8%-მდე, ხოლო აშშ-ს -1,9%-მდე. უდიდესი ზარალი განიცადა ტურიზმის ინდუსტრიამ.(The World Tourism organization, “Tourism and COVID-19 მსოფლიო ტურიზმის ორგანოზაციის (UNWTO) შეფასებით 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდა 1-3%-ით, წინაზე ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად.(https://www.statista.com) ტურიზმის შემოსავლები წინა წელთან შედარებით 17%-ით ნაკლებია.

დიაგრამა 1.

მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილებები კორონა ვირუსის პანდემიის ფონზე (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: statista.com

ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესის შემოსავლები. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით სწორედ ეს სექტორია წარმოდგენილი. რა გზებსა და ხერხებს უნდა მივმართოთ თვითეულმა ჩვენთაგანმა, რომ ამ კრიზისული მდგომარეობიდან თავი დავაღწიოთ და შევძლოთ გადარჩენა. იბადება კითხვა: იყო თუ არა საჭირო დღევანდელი გადასახედიდან ამ სექტორის ძირფესვიანი გაჩერება?; რა უნდა გააკეთოს და როგორი ნაბიჯები გადადგას მთავრობამ და ხელისუფლებამ ამ კრიზისის დასაძლევად?; უნდა გავითვალისწინოთ თუ არა მსოფლიო გამოცდილება ასეთ საკითხებში? , როგორ უნდა განაწილდეს დახმარების სახით შემოსული თანხები და ა.შ.

მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ნათქვამია, რომ 15 ივნისიდან განახლდება და გაიხსნება ადგილობრივი ტურიზმი და 1 ივლისიდან საერთაშორისო ტურიზმი. ეს მართლაც ასე მოხდა. გ.გახარიას განცხადებით ტურიზმის სექტორი განთავისუფლდება ქონების გადასახადისგან, ამ სფეროში მომუშავე კომპანიებს საშემოსავლო გადასახადები გადაუვადდეს 9 თვით; წლის ბოლომდე დღის წესრიგში დადგება ყველა იმ წესებისა და ნორმების დაცვა, რომელიც მიღებულია მთავრობისა და ჯანდაცვის ერთიანი შეთანხმების საფუძველზე და რომლის შესრულებაც აუცილებელი იქნება ყველა ვიზიტორისთვის ;საჭიროა იმ რეკომენდაციების გათვალისწინება ,რომელსაც ქვეყანა მიიღებს ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

გამოიყო რამდენიმე საშეღავათო პერიოდი:

I-ითვალისწინებს მცირე სასტუმროებისათვის შეღავათებსა და სუბსიდიებს;

II-ზრუნავს ინდუსტრიაში დასაქმებულთათვის (თვეში 200 ლარი) დაფინანსება ,ხოლო თვითდასაქმებულთათის ერთჯერადი 300 ლარი, დამსაქმებლები გათავისუფლდებიან გადასახადებისგან. თუ მათ ამ სიტუაციაში შეუნარჩუნდათ სამუშაო გარემო და შემოსავალი თვიურად შეადგენს 750 ლარს ,დაფინანსდება საერთაშორისო გამოფენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, მოხდება გიდების უფასო გადამზადება, მათი უფასო გადაადგილება მუზეუმებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებზე და ა.შ. ჩემი აზრით, ეს გეგმა ვერ იყო დიდად საიმედო და საშეღავათო ამ სექტორისთვის .

ტურიზმის სფეროს გახსნა დაავადების გავრცელებას ადვილად უწყობს ხელს, თუმცა აუცილებელია ,როგორც შიდა, ასევე გარე ტურიზმის გახსნა ,მაგრამ ყველა იმ წესების დაცვით, რომელიც რისკების შესამცირებლად აუცილებელია, უნდა არსებობდეს რაღაც სპეციალურად შემუშავებული სტანდარტები,რომელთა დაცვაც აუცილებელი იქნება თითოეული ჩვენთაგანისთვის. მთავრობამ უნდა იზრუნოს სასტუმრო ბიზნესებზე, მას მოუწევს მათი ნაწილობრივი შენახვა, რაც გამოიხატება საგადასახადო შეღავათებში, კრედიტების გადავადებაში და ფულად დახმარებებში. ეს საკითხი ისე უნდა დარეგულირდეს, რომ არ მოხდეს არცერთი მხარის დაზარალება.

თუ როგორია საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების პროცენტული ცვლილებები 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ცხრილი #1 (gnat.ge/ge/სტატისტიკა).

ცხრილი #1

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების პროცენტული ცვლილებები

ქვეყანა	2019/2022 -62.3%	2020/2022 -68.5%	2021/20222 471.2%
სხვა	-75.6%	-79.6%	1851.1%

ვიზიტები(არატურისტული)			
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები.	-59.5%	-66.2%	424.4%
საქართველო	-29.3%	-41.8%	7075.0%

წყარო: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორამაციო ანალიტიკური დეპარტამენტი. 2022 იანვარი.*

თუ გადავხედავთ საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკას და ტურიხმიდან მიღებულ შემოსავლებს საქართველოში, ნათლად დავინახავთ,რომ ამ კუთხით გვაქვს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ცვლილებები და რაც იმედის მომცემია სამომავლოდ.

დიაგრამა # 2

საერთაშორისო ვიზიტორების დინამიკა 2019/2021 წლების განმავლობაში



წყარო: *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია*

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით,2021წელს საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან დაახლოებით 1,2 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო, რაც წინა 2020 წლის მაჩვენებელს 130 %- ით აღემატება,ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 62 %-ით ჩამოუვარდება. 2021 წლის შემოსავლები 2020 წელთან შედარებით დაახლოებით 2,2-ჯერ გაიზარდა,მეორე, მესამე და მეოთხე კვარტლის მონაცემებით, შემოსავლები გაიზარდა დაახლოებით 10,4 -ჯერ. (www.geostat.ge). ასევე წინასწარი შეფასებით 2021 წლის დეკემბერში, წინა წლის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 9,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2021წლის საშუალო რეალური ზრდა 10,6 პროცენტით განისაზღვრა. ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ დარგებში: გადამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა,სასტუმროები და რესტორნები, ელ.ენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ხელოვნება, დასვენება და გართობა. კლების ტენდენცია ფიქსირდება მშენებლობის დარგში (www.geostat.ge).

დასკვნა. მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება და ძალზედ ძნელია განისაზღვროს პანდემიის გავლენის მაშტაბები.კორონა ვირუსის პანდემიის ეფექტს ,ხშირად მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ . აუცილებელია ვიპოვოთ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან და ვეცადოთ რამენაირად შევამსუბუქოთ და შევამციროთ მოსალოდნელი კრიზისი, რაც აუცილებლად დროთა განმავლობაში უფრო მეტი სიმწვავით იჩენს თავს . ჩემი აზრით ,აუცილებელია მთავრობამ შეამციროს ისეთი ხარჯები ,რომელიც არაა აუცილებელი და საჩქარო მოცემული კონკრეტული პერიოდისთვის და მივხედოთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებს. არ შეიძლება ქვეყანა დაკავდეს ისეთი ტენდერების გამოცხადებით ,რომელთა გადადებაც შეიძლება სამომავლოდ და რომელიც შეიძლება იმ პერიოდისთის უკეთესადაც კი განხორციელდეს; უნდა მოხდეს სამთავრობო და სამივლინებლო ხარჯების შემცირება, ინფრასტრუქტურული პროექტები, კონფერენციები და ა.შ. თითქმის ყველა სამინისტრომ უნდა მოახდინოს რაღაც

დოზით ხარჯების შემცირება, აგრეთვე ეცადოს რაც შეიძლება ცოტა ადამიანი დაითხოვოს სამსახურებიდან და მოხდეს სამუშაო ადგილების შენარჩუნება; მთავრობის პრეროგატივაა პირველ რიგში თითოეული ადამიანის ყოფითი პრობლემების გადაჭრა, რათა მათ თავი გადაირჩინონ შიმშილისაგან; პირველ რიგში დახმარებას საჭიროებენ ღარიბები და უმუშევრად დარჩენილები, აუცილებელია მათი ყოველთვიური დაფინანსება ბიუჯეტიდან ან დახმარების სახით შემოსული თანხებიდან. აქვე მინდა ავღნიშნო ,რომ დახმარების სახით შემოსულ თანხებს უნდა ჰქონდეთ მიზნობრივი ხასიათი და არა სამთავრობო მოხელეების გამდიდრებისკენ სწრაფვა, დაუშვებელია ნეპოტიზმი და კორუფცია. საჭიროა დაუყოვნებლივ გაიხსნას ეკონომიკის ყველა სექტორი, განსაკუთრებით მცირე წარმოება და ტურიზმის სექტორი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან ერთად ცხოვრება, როგორც ამას გვეუბნებიან სამედიცინო ხელმძღვანელი პირები. მე ვეთანხმები ამ გამოწვევას რაღაც დოზით, ჩვენ აქამდეც უნდა გაგვეთვალისწინებინა და სამომავლოდაც აუცილებელია ყველა იმ წესებისა და რეკომენდაციების დაცვა და განხორციელება ,რასაც გვირჩევენ ექიმები, ოღონდ ეს უნდა მოხდეს სამუშაო პროცესთან ერთად. აუცილებელია გაიხსნას ყველა ბიზნეს ობიექტი, მოხდეს მათი ხელშეწყობა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ცხოვრების ნორმალური რიტმის შენარჩუნება .

ძალიან დიდ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის ქმედებები, რაც დაკავშირებული იყო ყველას და ყველაფრის გაჩერებასთან, საჭირო იყო მცირე დატვირთვის ემუშავა თნდაც ეკონომიკის სექტორს, რითაც შევძლებდით ზედმეტი რისკების შემცირებას. აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია ზუსტად გაზაფხულზე ,როცა ხვნა-თესვის პროცესები მიმდინარეობდა და არა სხვადასხვა არა აუცილებელი პროექტებისთვის. საჭიროა ამ სექტორისთვის გამოიყოს სერიოზული ტრანსფერები და მოხდეს ნაწილობრივ მაინც იმ ჩავარდნების გამოსწორება ,რამაც გამოიწვია ფასების კატასტროფული გაზრდა ნებისმიერი სახის პროდუქციაზე; ყველა ბიზნეს ობიექტი

თუ სტრუქტურა უნდა სარგებლობდეს თანაბარი პირობებით და ადგილი არ ჰქონდეს შერჩევითობის პრინციპს, რაც დამახასიათებელია ბოლო დროისათვის.

ამრიგად, პანდემიით გამოწვეულ კრიზისს ჯერ კიდევ ვერ გავითავისებთ და ზუსტ ანალიზსაც ვერ გავაკეთებთ მოცემული პერიოდისათვის, რადგან პროცესები ჯერ კიდევ მიმდინარეობს , თუმცა ერთი კი ცხადია , რომ ცხოვრება ძალიან გაძვირდა ,გაძნელდა ჩვენი ყოველდღიური ყოფა და უმეტესობისთვის გაუსაძლისიც კი გახდა . მაშინ ,როცა ქვეყანაში 2020 წლისთვის გვქონდა ეკონომიკის 16 % -იანი ვარდნა, 2021 წლის იანვარში 13,9 %-იანი წლიური ინფლაციის დონე (www.geostat.ge), რა თქმა უნდა უყურადღებოდ ვერ დატოვებდა და ვერ დატოვებს ჩვენს ყოველდღიურობას, რომელიც დღითი დღე გაძვირდა და დამძიმდა.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ასანიძე ნ.(2020). კორონავირუსის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე (საქართველოს მაგალითზე). გლობალიზაცია და ბიზნესი, #10, გვ.210-217 https://doi.org/10.35945/gb.2020.10.027
2. ჩიკვილაძე მ.(2020). ახალი კორონავირუსის (COVID-19)-გამოწვევები, ეკონომიკის პრობლემები. გლობალიზაცია და ბიზნესი, #10, გვ.70-74.https:/doi.org/10.35945/gb.2020.10.008

3. forbes.ge/blog 1462/coronavirusis-ekonomicuri-sedegebi;/)

4. The world Tourism organization, ‘’Tourism and COVID-19’’. Morch.27.2020.

5. Https://WWW.statista.com)

6.geostat.ge/media/42942/ეკონომიკური-ზრდის-წინასწარი-შეფასება....12.2021.pdf

7.geostat.ge/media/42968/ინფლაცია-საქართველოში-იანვარი-2022. pdf

8.factcheck.ge/ka/story/40394- ტურიზმის დინამიკა 2021 წელს რა გავლენა ჰქონდა-პანდემიას ტურიზმის სტატისტიკაზე

9. https://idfi.ge/ge/overview-of-the-anti-crisis-plan.

10.https://www.mof.ge>File>6-Tve>danarTebi

11.https://commersant.ge/ge/post/2021-wels-mtavrobis-antikrizisuli-gegmit-gatvaliswinebul-gonisdziebebze.

Ia Gelashvili, Associate Professor
The Department of Business Administration,
LEPL Samtskhe-Javakheti State University
E-mail: iagel2805@gmail.com

The Economic Crisis Caused by the Pandemic and Some Solutions

Abstract

The paper refers to one of the new painful problems - COVID 19, the problems and crisis situations caused by it, influencing primarily economy and daily life of people. The fall in some sectors of economy is discussed and the required supportive measures and recommendations are given to find solutions and overcome global and including Georgian, difficult condition and avoid economic collapse.

Key wards: COVID 19, *pandemic, tourism industry, an anti-crisis plan.*